ოქმი:**ო05. 3726264001**

თარიღი:**21/09/2026**

ოქმი N 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 11 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

13:00 – 13:20-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ხომერიკი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, ქ. კვაჭანტირაძე, მ. ცქვიტინიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მ.ჩხიკვიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის საკითხი - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს ნათია გოლიაძე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ტატა ბარამიძის ნაცვლად განისაზღვრება ნათია გოლიაძე – ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს და აღნიშნეს, რომ აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს მუნიციპალური საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შესაბამისობას საბჭოს დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

გადაწყვიტეს:

აღნიშნული განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი